# უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისკენ

## ევროპის ქვეყნების უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი მინისტრების შეხვედრის კომუნიკე

### პრაღა, 2001 წლის 19 მაისი

ბოლონიის დეკლარაციის ხელმოწერიდან ორი და სორბონის დეკლარაციის მიღებიდან სამი წლის შემდეგ ევროპის 32 ქვეყნის უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი მინისტრები შეიკრიბნენ პრაღაში, რათა განეხილათ შედეგები და დაესახათ პროცესის სამომავლო მიმართულებები და პრიორიტეტები. მინისტრებმა დაადასტურეს თავიანთი ვალდებულება 2010 წლისათვის უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის დაფუძნებასთან დაკავშირებით. ამ შეხვედრისთვის პრაღის შერჩევა სიმბოლურად გამოხატავს პროცესში მთელი ევროპის ჩართვის სურვილს ევროკავშირის გაფართოების ფონზე.

მინისტრები მიესალმნენ და განიხილეს სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული ანგარიში - "ბოლონიის პროცესის ხელშეწყობა" - და დაასკვნეს, რომ ბოლონიის დეკლარაციაში დასახული მიზნები ხელმომწერი ქვეყნების უნივერსიტეტებისა და უმაღლესი განათლების სხვა დაწესებულებების მიერ ფართოდაა აღიარებული და გამოყენებული, როგორც უმაღლესი განათლების განვითარების საფუძველი. მინისტრებმა დაადასტურეს, რომ უნდა გაგრძელდეს მობილობის ხელშეწყობა, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს, მასწავლებლებს, მეცნიერებს და ადმინისტრაციულ პერსონალს ისარგებლონ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის სიმდიდრით, მისი დემოკრატიული ღირებულებების, კულტურის და ენების მრავალფეროვნების და უმაღლესი განათლების განსხვავებული სისტემების ჩათვლით.

მინისტრებმა გაითვალისწინეს 29-30 მარტის სალამანკის ევროპის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების შეხვედრისა და ევროპის 24-25 მარტის გიოტებორგის სტუდენტების შეხვედრის რეკომენდაციები და მაღალი შეფასება მისცეს ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის (EUA) და ევროპაში სტუდენტების ეროვნული კავშირების (ESIB) ბოლონიის პროცესში აქტიურ მონაწილეობას. მათ, აგრეთვე, აღნიშნეს და დადებითად შეაფასეს პროცესის წინსვლის ხელშემწყობი ბევრი სხვა ინიციატივაც. მინისტრებმა ხაზი გაუსვეს ევროკომისიის კონსტრუქციულ თანადგომას.

მინისტრებმა აღნიშნეს, რომ დეკლარაციაში რეკომენდირებული აკადემიური ხარისხების სტრუქტურასთან დაკავშირებული საქმიანობა უმეტეს ქვეყნებში ინტენსიურად და ფართო მაშტაბით განხორციელდა. განსაკუთრებით დადებითად შეაფასეს ხარისხის უზრუნველყოფისათვის ჩატარებული სამუშაოები. მინისტრებმა აღიარეს თანამშრომლობის საჭიროება ტრანსნაციონალური განათლების მიერ წამოჭრილ პრობლემათა გადასაჭრელად. მათ, აგრეთვე, აღიარეს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის საჭიროება.

### ბოლონიის პროცესის ექვსი მიზნიდან გამომდინარე შემდგომი საქმიანობა

ბოლონიის დაკლარაციიდან გამომდინარე, მინისტრებმა დაადასტურეს, რომ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნა ევროპაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმზიდველობისა და კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესების პირობაა. მათ მხარი დაუჭირეს იდეას, რომ უმაღლესი განათლება უნდა განიხილებოდეს, როგორც საზოგადოებრივი დოვლათი, რომელიც არის და რჩება საზოგადოებრივ პასუხისმგებლობად, და რომ სტუდენტები არიან უმაღლესი განათლების ერთობის სრულფასოვანი წევრები. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, მინისტრებმა მომავალ პროცესებთან დაკავშირებით შემდეგი კომენტარი გააკეთეს:

## იოლად გასაგები და შესადარებელი აკადემიური ხარისხების სისტემის შემოღება

მინისტრები დაბეჯითებით მოუწოდებენ უნივერსიტეტებსა და სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს სრულად ისარგებლონ არსებული ეროვნული კანონმდებლობისა და ევროპული მექანიზმების იმ უპირატესობებით, რომელთა მიზანია კურსების, აკადემიური ხარისხებისა და სხვა მიღწევების აკადემიური და პროფესიული აღიარების ხელშეწყობა, რათა მოქალაქეებმა შეძლონ თავიანთი კვალიფიკაციების, კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების ეფექტური გამოყენება უმაღლესი განათლების მთელ ევროპულ სივრცეში.

მინისტრებმა მოუწოდეს ისეთ ორგანიზაციებსა და ქსელებს, როგორიცაა აკადემიური ცნობის ეროვნული საინფორმაციო ცენტრები (NARIC) და საინფორმაციო ცენტრების ევროპული ქსელი (ENIC) ინსტიტუციურ, ეროვნულ და ევროპულ დონეზე ხელი შეუწყონ მარტივი, ეფექტური და სამართლიანი აღიარების პროცედურას, რომელიც ასახავს კვალიფიკაციების არსებულ მრავალფეროვნებას.

## ორ მთავარ საფეხურზე დაფუძნებული სისტემის შემოღება

მინისტრებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ აქტიურად განიხილება და ინერგება ორ მთავარ საფეხურზე დაფუძნებული აკადემიური ხარისხების სტუქტურა, რომელიც დიპლომამდელ და დიპლომის შემდგომ სწავლებად იყოფა. ზოგიერთ ქვეყანაში ეს სტრუქტურა უკვე მიღებულია, ზოგში კი დიდი ინტერესით განიხილება. აღსანიშნავია, რომ ბევრ ქვეყანაში ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხების, ან მათი შესაბამისი ორსაფეხურიანი აკადემიური ხარისხების, მიღება შესაძლებელია როგორც უნივერსიტეტებში ასევე სხვა ტიპის უმაღლეს სასწავლებლებშიც. აკადემიური ხარისხების შესაბამის პროგრამებს შესაძლოა და, ცხადია, უნდა ჰქონდეთ სხვადასხვა მიმართულებები და განსხვავებული პროფილები, რათა დაკმაყოფილდეს პიროვნებების, აკადემიური პერსონალისა და შრომის ბაზრის მრავალფეროვანი მოთხოვნილებები, როგორც ეს აღინიშნა ბაკალავრის ხარისხისადმი მიძღვნილ ჰელსინკის სემინარზე (2001 წ. თებერვალი).

## კრედიტების სისტემის შემოღება

მინისტრებმა ხაზი გაუსვეს, რომ სწავლისა და კვალიფიკაციების მინიჭების პროცესის მეტი მოქნილობისათვის საჭიროა კვალიფიკაციების ერთიანი ქვაკუთხედის მიღება, რომელიც დაეფუძნება საკრედიტო სისტემას, ისეთს, როგორიცაა კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS) ან მასთან ადვილად შესადარებელ სხვა სისტემას, ტრანსფერისა და დაგროვების ფუნქციებით. ხარისხის უზრუნველყოფის საზოგადოდ აღიარებულ სისტემებთან ერთად, მსგავსი შეთანხმებები გააადვილებს სტუდენტების მიღებას ევროპულ შრომის ბაზარზე და აამაღლებს ევროპული უმაღლესი განათლების თავსებადობას, მიმზიდველობასა და კონკურენტუნარიანობას. აღნიშნული სისტემისა და დიპლომის დანართის ფართო გამოყენება ხელს შეუწყობს ამ მიმართულებით წინსვლას.

## მობილობის ხელშეწყობა

მინისტრებმა კვლავ დაადასტურეს, რომ სტუდენტების, მასწავლებელების, მეცნიერებისა და ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის გაუმჯობესებას (როგორც ეს ბოლონიის დეკლარაციაშია დასახული) უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამდენად, მათ დაადასტურეს თავიანთი გადაწყვეტილება გადალახონ ყველა ის წინააღმდეგობა, რაც ხელს უშლის სტუდენტების, მასწავლებელის, მეცნიერებისა და ადმინისტრაციული პერსონალის თავისუფალ გადაადგილებას და ხაზი გაუსვეს მობილობის სოციალურ მნიშვნელობას. მათ აღნიშნეს ევროგაერთიანების პროგრამებით შემოთავაზებული მობილობის შესაძლებლობები და ამ სფეროში მიღწეული პროგრესი, მაგალითად, ევროპის საბჭოს მიერ, 2000 წელს ქ. ნიცაში დამტკიცებული მობილობის სამოქმედო გეგმის დაწყება.

## ხარისხის უზრუნველყოფის საკითხში ევროპული თანამშრომლობის ხელშეწყობა

მინისტრები აღიარებენ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის სასიცოცხლო როლს მთელ ევროპაში მაღალი ხარისხის სტანდარტების დანერგვასა და კვალიფიკაციების შესადარებლობის გამარტივებაში. მათ, ასევე, დადებითად შეაფასეს კვალიფიკაციების ცნობისა და ხარისხის უზრუნ-

ველყოფის ქსელებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა. მათ ხაზი გაუსვეს ევროპის დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული სისტემების მჭიდრო თანამშრომლობის, ურთიერთნდობისა და აღიარების აუცილებლობას. მათ მოუწოდეს უნივერსიტეტებსა და სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, გაავრცელონ მოწინავე გამოცდილების მაგალითები და შექმნან შეფასებისა და აკრედიტაცია/სერტიფიკაციის ურთიერთმისაღები მექანიზმები. მინისტრებმა მოუწოდეს უნივერსიტეტებსა და სხვა უმაღლეს საგანათლებო დაწესებულებს, ეროვნულ სააგენ-ტოებსა და უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ ქსელს (ENQA), ითანამშრომლონ იმ ქვეყნების შესაბამის ორგანიზაციებთან, რომლებიც არ არიან აღნიშნული ქსელის წევრები, რათა ჩამოაყალიბონ რეკომენდაციების საერთო ჩარჩოები და გაავრცელონ მოწინავე გამოცდილება.

## ევროპული განზომილებები უმაღლეს განათლებაში

უმაღლეს განათლებაში მნიშვნელოვანი ევროპული განზომილებების გასაძლიერებლად და კურსდამთავრებულთა დასაქმების მიზნით, მინისტრები მოუწოდებენ უმაღლესი განათლების სექ-ტორს, ყველა დონეზე განავითარონ "ევროპული" შინაარსის, ორიენტაციისა და სტრუქტურის მოდ-ულები, კურსები და კურიკულუმები. განსაკუთრებით ეს ეხება სხვადასხვა ქვეყნების სასწავლე-ბლების თანამშრომლობით შექმნილ იმ მოდულებს, კურსებსა და კურიკულუმებს, რომლებსაც აღიარებულ ერთობლივ აკადემიურ ხარისხებამდე მივყავართ.

## გარდა ამისა მინისტრებმა ხაზი გაუსვეს შემდეგ საკითხებს:

## სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში

სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში არის უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მნიშვნელოვანი ელემენტი. ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებასა და ეკონომიკაზე აგებულ მომავალ ევროპაში მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სტრატეგია აუცილებელია, რათა პიროვნება მომზადებული შეხვდეს იმ გამოწვევებს, რომელსაც უმზადებს კონკურენცია და ახალი ტექნოლოგიების გამოყენება. ეს სტრატეგია ასევე  აუცილებელია სოციალური ურთიერთობების, თანასწორი შესაძლებლობებისა და ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

## უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და სტუდენტები

მინისტრებმა ხაზი გაუსვეს, რომ უნივერსიტეტების, სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესე-ბულებებისა და სტუდენტების უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ჩამოყალიბებასა და ფორმირებაში კომპეტენტურ, აქტიურ და კონსტუქციულ პარტნიორებად ჩართვა აუცილებელი და მისასალმებელია. სასწავლებლებმა მოახდინეს იმის დემონსტრირება, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებენ თავსებადი და ეფექტური, ამასთანავე, მრავალფეროვანი და ადაპტაციის უნარის მქონე უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ჩამოყალიბებას. მინისტრებმა, აგრეთვე, აღნიშნეს, რომ უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში სწავლების ხარისხი არის ნდობის, შესაფერისობის, მობილობის, თავსებადობის და მიმზიდველობის საფუძველთა საფუძველი.  მაღალი შეფასება მიეცა იმ წვლილს, რომელიც სასწავლებლებმა შეიტანეს კვალიფიკაციებთან შესაბამისობაში მოყვანილ სასწავლო პროგრამების დამუშავებისას და მოუწოდეს მათ ამ მიმართულებით აქტივობის გაგრძელებისაკენ.

მინისტრებმა დაადასტურეს, რომ სტუდენტებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ და გავლენა უნდა იქო-ნიონ უნივერსიტეტებსა და სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების მართვასა და შინაარსზე. მათ კვლავ დაასტურეს სტუდენტების მიერ მოთხოვნილი სოციალური განზომილების გათვალისწინების აუცილებლობა ბოლონიის პროცესში.

## უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მიმზიდველობა

მინისტრები შეთანხმდნენ ევროპისა და მსოფლიოს სხვა ნაწილების სტუდენტებისთვის ევროპული უმაღლესი განათლების მიმზიდველობის გაძლიერების მნიშვნელობაზე. ევროპული უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხების გაგება და შესადარებლობა მთელ მსოფლიოში უნდა გაუმჯობესდეს კვალიფიკაციების საერთო სტრუქტურების ჩამოყალიბებით, აგრეთვე, ხარისხის უზრუნველყოფისა და აკრედიტაცია/სერტიფიკაციის შეთანხმებული მექანიზმების განვითარებითა

და მზარდი საინფორმაციო ძალისხმევით.

მინისტრებმა ხაზი გაუსვეს იმას, რომ უმაღლესი განათლებისა და კვლევის ხარისხი არის და უნდა იყოს ევროპის უმაღლესი განთლების მიმზიდველობისა და კონკურენტუნარიანობის ძირითადი განმსაზღვრელი. ისინი შეთანხმდნენ, რომ მეტი ყურადღება დაეთმობა უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცში სხვადასხვა პროფილის დაწესებულებებსა და პროგრამებს. ტრანსნაციონალური განათლების შესაძლო შედეგებსა და პერსპექტივებთან დაკავშირებით მათ ევროპულ ქვეყნებს მზარდი თანამშრომლობისაკენ მოუწოდეს.

## შემდგომი განვითარება

მინისტრებმა გადაწყვიტეს განაგრძონ ბოლონიის დეკლარაციის მიზნებით დასახული თანამშრომლობა, რომელიც ეფუძნება მსგავსებებს, გამდიდრებულია კულტურებს, ენებსა და ეროვნული სისტემებს შორის განსხვავებებით და გამოიხატება მთავრობათაშორისი ყველა შესაძლებელი კოოპერაციითა და მიმდინარე დიალოგით ევროპის უნივერსიტეტებთან, სხვა უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულებებთან და სტუდენტურ ორგანიზაციებთან.

მინისტრები მიესალმებიან ბოლონიის პროცესთან ახალი წევრების მიერთებას შესაბამისი ქვეყნების მინისტრების განაცხადების საფუძველზე. ამ ქვეყნებისათვის ევროგაერთიანებამ გახსნა პროგრამები სოკრატესი (Socrates) და ლეონარდო და ვინჩი (Leonardo da Vinci) ან ტემპუს-კარდი (Tempus-Cards). მათ მიიღეს განაცხადები ხორვატიიდან, კვიპროსიდან და თურქეთიდან.

მინისტრებმა გადაწყვიტეს, რომ შემდეგი შეხვედრა შედგება 2003 წლის მეორე ნახევარში ბერლინში და მასზე განხილული იქნება მიღწეული შედეგები, დაისახება მიმართულებები და პრიორიტეტები უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შემდგომი განვითარებისათვის. ისინი შეთანხმდნენ შემდგომი მუშაობის სტრუქტურაზე, რომელიც მოიცავს სამუშაო და მოსამზადებელ ჯგუფებს. სამუშაო ჯგუფი უნდა შედგებოდეს ყველა ხელმომწერი და ახალი მონაწილე ქვეყნისა და ევროკომისიის წარმომადგენლებისაგან; მას უნდა თავმჯდომარეობდეს იმ ქვეყნის წარმომადგენელი, რომელიც ამ დროისათვის თავმჯდომარეობს ევროკავშირში. მოსამზადებელი ჯგუფი უნდა შედგებოდეს მინისტრების წინა და მომდევნო შეხვედრების მასპინძელი ქვეყნების, ევროკავშირის ორი წევრი და ორი არაწევრი ქვეყნის წარმომადგენლებისაგან. ეს ბოლო ოთხი წევრი უნდა აირჩიოს სამუშაო ჯგუფმა. იმ დროისათვის ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის წარმომადგენელი და ევროკომისია, აგრეთვე, უნდა შედიოდნენ მოსამზადებელ ჯგუფში. მოსამზადებელი ჯგუფის თავმჯდომარე არის მინისტრების მომდევნო შეხვედრის მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენელი.

ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციამ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ევროპულმა ასოციაციამ (EURASHE), ევროპაში სტუდენტების ეროვნულმა კავშირებმა და ევროპის საბჭომ კონსულტაციები უნდა გაუწიონ სამუშაო ჯგუფს.

პროცესის დაჩქარების მიზნით, მინისტრები მოუწოდებენ სამუშაო ჯგუფს მოაწყონ სემინარები შემდეგი საკითხების გამოსაკვლევად: აკრედიტაციასა და ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული თანამშრომლობა, კვალიფიკაციის აღიარების საკითხები და კრედიტების გამოყენება ბოლონიის პროცესში, სოციალური განზომილება, მობილობის ხელშემშლელ წინააღმდეგობებზე ყურადღების გამახვილებით, ბოლონიის პროცესის გაფართოება, სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში და პროცესში სტუდენტთა ჩართულობა.